ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 482520930
თარიღი:28/07/2025

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ (ს/კ 421271206) საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 01 ივნისის №31 1653 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის №g-49.49252062 განკარგულების, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს (ს/კ 421271206) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №b48.482334621 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტისა და ა(ა)იპ „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის “ დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის №33/26 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ (ს/კ 421271206) საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 01 ივნისის №31 1653 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის დირექტორს (ნ.ნემსწვერიძეს).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრი"

საშტატო ნუსხა		2025წელი	
№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
	სულ	19.0	
1	დირექტორი	1	2,700
2	ბუღალტერი	1	1,311
3	შესყიდვების მენეჯერი	1	1,214
4	საქმის მწარმოებელი	1	972
5	სოც.მუშაკი	1	1,045
6	პედაგოგი სპეც.განათლებით	1	1,045
7	ხელოვნების პედაგოგი	1	1,045
8	პროფესიული განვითარების სპეციალისტი	1	1,045
9	ფსიქოლოგი	1	1,045
10	მეტყველების სპეციალისტი	1	1,045
11	პედაგოგის თამაშემწე	2	851
12	მზარეული	1	851
13	მზარეულის თანაშემწე	1	609
14	მძღოლი	1	1,093
15	დამლაგებელი	1	730
16	მებაღე	1	700
17	დარაჯი	2	549

ა(ა) იპ "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის"
დირექტორი: /ნ.ნემსწვერიძე/